ოქმი N7

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მესამე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი **2017 წლის 28 მარტი**

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 35

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 26 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 26 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერი ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგის გაცნობამდე სხდომის თავმჯდომარემ ისაუბრა ევროკავშირის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ 28 მარტი საქართველოს ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერება და ჩვენი მომავალი თაობები იამაყებენ ამ მონაპოვარით. ვიზალიბერალიზაცია, ჩვენი ქვეყნისთვის კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი და გამარჯვებაა.

დღის წესრიგი:

1. „ჯემალი ნადარაიასთვის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ნ. შუშანია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N47 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ნ. შუშანია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

3. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N49 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ნ. შუშანია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

4. „ფრაქცია „ხობის“ რეგისტრაციის გაუქმების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ნ. შუშანია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

5. „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 თებერვლის N5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ლაშა ცატავა - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე);

6. „ქალაქ ხობში ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის რეგულირებისა და საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 5 აგვისტოს №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი);

7. „ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

8. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 თებერვლის N8 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი);

9. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი);

10. „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

დღის წესრიგის გაცნობის შემდგომ, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „თავისუფლების“ თავმჯდომარემ რ. გვარამიამ განაცხადა, რომ სხდომის დასრულების შემდეგ სურვილი ჰქონდა გაეკეთებინა განცხადება, რაზედაც, სხდომის თავმჯდომარის მხრიდან თანხმობა მიიღო.

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს
კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0
დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ჯემალი ნადარაიასთვის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ნ. შუშანია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ჯემალი ნადარაიასთვის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“ და კომისიის საერთო დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან და დღის წესრიგით წარმოდგენილ მე-2, მე-3 და მე-4 საკითხებთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ჯემალ

ნადარაიას გარდაცვალების გამო, მას ვადამდე უწყდება საკრებულოს წევრის უფლებამოსილება. ჯ. ნადარაია გაწევრიანებული იყო საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო და სოციალურ საკითხთა კომისიებში, შესაბამისი ცვლილება ხორციელდება წარმოდგენილი განკარგულების პროექტებით ზემო აღნიშნულ კომისიებში. ამასთან ჯ. ნადარაია იყო ფრაქცია „ხობის" წევრი, რომელიც შედგებოდა სამი წევრისგან, ხოლო კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად, მისმა გარდაცვალებამ გამოიწვია ფრაქციის გაუქმება, რაზედაც სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის მიერ მომზადდა პროექტი „ფრაქცია „ხობის" რეგისტრაციის გაუქმების შესახებ". გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი პროექტები აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონებს და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მათი დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

დაადგინეს: წარმოდგენილი საკითხი ცნობად იქნეს მიღებული.

(განკარგულება N10 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N47 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ნ. შუშანია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ნ. შუშანია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N47 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N11 ოქმს თან ერთვის)

3. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N49 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ნ. შუშანია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ნ. შუშანია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N49 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N12 ოქმს თან ერთვის)

4. „ფრაქცია „ხობის“ რეგისტრაციის გაუქმების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ნ. შუშანია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ნ. შუშანია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ფრაქცია „ხობის“ რეგისტრაციის გაუქმების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N13 ოქმს თან ერთვის)

5. „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 თებერვლის N5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ლაშა ცატავა - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ნ. შუშანია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 თებერვლის N5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2017 წლის 27 თებერვალს მიღებულ იქნა N5 დადგენილება „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“, რაზედაც საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტიდან მიღებულ იქნა სამართლებრივი შენიშვნა, სადაც აღნიშნულია, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დგინდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწაზეც მიწის ნორმატიული ფასი, რის გამოც მიზანშეწონილად მიაჩნიათ დადგენილების პრეამბულას დაემატოს „სახელმწოფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლი, რომელიც ამ უფლებამოსილებას ანიჭებს ადგილობრივ თვითმმართველობას. ზემო აღნიშნული შენიშვნის გათვალისწინებით კომისიის მიერ მომზადდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 თებერვლის N5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე". გამომსვლელის განცხადებით, პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N7 ოქმს თან ერთვის)

6. „ქალაქ ხობში ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის რეგულირებისა და საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 5 აგვისტოს №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ქალაქ ხობში ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის რეგულირებისა და საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 5 აგვისტოს №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (გ. სიჭინავა) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

გ. სიჭინავა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ გამგეობის განმარტებით საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტიდან მიღებული

სამართლებრივი შენიშვნის გათვალისწინებით ხორციელდება „ქალაქ ხობში ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის რეგულირების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 თებერვლის №11 დადგენილებისა და „ქალაქ ხობში ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის რეგულირებისა და საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 იანვრის №2 დადგენილების გაუქმება, გამომდინარე იქედან, რომ ზემო აღნიშნული აქტები წინააღმდეგობაშია „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლთან, ვინაიდან ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოცემული აქვს იმავე სახელწოდების ნორმატიული აქტი ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 5 აგვისტოს N21 დადგენილება „ქალაქ ხობში ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის რეგულირებისა და საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ“, ხოლო აქტის არსებითად (სრულად) შეცვლის შემთხვევაში ხორციელდება მისი გაუქმება და ახალი ნორმატიული აქტის გამოცემა ან სხვა შემთხვევაში ხდება აქტის რედაქტირება და მასში ცვლილებების გაგანხორციელება. ამ ეტაპზე წარმოდგენილი პროექტით ხორციელდება ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 5 აგვისტოს N21 დადგენილებაში ცვლილებების შეტანა, რის საფუძველზე დადგენილებაში აისახება ძალადაკარგულად გამოცხადებული ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 იანვრის N2 დადგენილებით განსაზღვრული საგზაო ნიშნები და მოსახლეობის მოთხოვნა საგზაო მოძრაობის გაუმჯობესების მიზნით ქალაქ ხობში 9 აპრილისა და ბერიას ქუჩებზე ცალმხრივი მოძრაობის მიმართულების შეცვლის თაობაზე. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 5 აგვისტოს N21 დადგენილებიდან ამოღებულია “გ”, “დ”, ”ე”, “ზ” და “თ” ქვეპუნქტები, რომლებიც წინააღმდეგობაშია 9 აპრილისა და ბერიას ქუჩაზე დადგენილების პროექტით გათვალისწინებული ცალმხრივი მოძრაობის მიმართულების შეცვლასთან. საქართველოს შინაგან საქმეთა სამიმინისტროს 2017 წლის 16 თებერვლის MIA 3 17 00382962 წერილის შესაბამისად, მოძრაობის მონაწილეთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ასევე ხორციელდება დამატებითი საგზაო ნიშნების განთავსება. ქალაქ ხობის ტერიტორიაზე ხორციელდება შემდეგი საგზაო ნიშნების განთავსება:1)„ 9 აპრილის ქუჩაზე, 9 აპრილის ქუჩისა და ცოტნე დადიანის ქუჩების გადაკვეთაზე - საგზაო ნიშანი (№ 3.1) „შესვლა აკრძალულია“; 2) ცოტნე დადიანის ქუჩაზე ცოტნე დადიანის ქუჩისა და 9 აპრილის ქუჩების გადაკვეთამდე - საგზაო ნიშანი (№ 3.18.1) „მარჯვნივ მოხვევა აკრძალულია“; 3) ცოტნე დადიანის ქუჩაზე ცოტნე დადიანის ქუჩისა და 9 აპრილის ქუჩების გადაკვეთამდე - საგზაო ნიშანი (№ 3.18.2) „მარცხნივ მოხვევა აკრძალულია“; 4) სტალინის ქუჩაზე სტალინის ქუჩისა და ბერიას ქუჩების გადაკვეთამდე - საგზაო ნიშანი (№ 3.18.2) „მარცხნივ მოხვევა აკრძალულია“; 5) ბერიას ქუჩაზე, ბერიასა და სტალინის ქუჩების კვეთაზე თი-ბი-სი ბანკის მიმდებარე ტერიტორიაზე - საგზაო

ნიშანი (№ 3.1.) „შესვლა აკრძალულია“; 6) ბერიასა და სტალინის ქუჩების კვეთაზე ბერიას ქუჩის მხრიდან - საგზაო ნიშანი (№ 2.4) „დაუთმე გზა“; 7) 9 აპრილის ქუჩქაზე 9 აპრილისა და სტალინის ქუჩების გადაკვეთაზე - საგზაო ნიშანი (№ 5.5) „ცალმხრივმოძრაობიანი გზა“; 8) 9 აპრილის ქუჩაზე 9 აპრილისა და სტალინის ქუჩების გადაკვეთაზე - საგზაო ნიშანი (№ 2.4) „დაუთმე გზა“; 9) ბერიას ქუჩაზე ყოფილი უნივერმაღის შენობის უკან ტაქსების გამოსასვლელთან - საგზაო ნიშანი (№ 5.7.2.) „ცალმხრივმოძრაობიან გზაზე გასვლა“; 10) ბერიას ქუჩაზე ცოტნე დადიანის ქუჩის მხრიდან - საგზაო ნიშანი (№ 5.5) „ცალმხრივიმოძრაობიანი გზა“; 11) ბერიას ქუჩაზე ბერიასა და სტალინის ქუჩების გადაკვეთაზე - საგზაო ნიშანი (№ 5.6) „ცალმხრივმოძრაობიანი გზის დასასრული“; 12) თამარ მეფის სანაპიროს დასაწყისში (პირველი სკოლის მიმდებარე ტერიტორია) - საგზაო ნიშანი (№3.12.) „ღერძზე დატვირთვის შეზღუდვა- 5 ტონაზე ზემოთ სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობა აკრძალულია“; 13) გოგებაშვილისა და თამარ მეფის სანაპიროს გადაკვეთაზე - საგზაო ნიშანი (№ 3.12.) „ღერძზე დატვირთვის შეზღუდვა - 5 ტონაზე ზემოთ სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობა აკრძალულია“; 14) ქ. ხობის №2 საჯარო სკოლის წინ, ქუჩის ორივე მხარეს - საგზაო ნიშანი (№ 3.28—2 ცალი) „დგომა აკრძალულია“; 15) ჭყონდიდელისა და თ. ქაჯაიას ქუჩების გადაკვეთაზე ჭყონდიდელის ქუჩის ორივე მხრიდან - საგზაო ნიშანი (№2.5.-2 ცალი) „სდექ, გაუჩერებლად გასვლა აკრძალულია“; 16) მშვიდობის ქუჩაზე, ცოტნე დადიანისა და მშვიდობის ქუჩების გადაკვეთაზე - საგზაო ნიშანი (№ 2.3) „დაუთმე გზა“; 17) ვეკუას ქუჩაზე, ცოტნე დადიანისა და ვეკუას ქუჩების გადაკვეთაზე - საგზაო ნიშანი (№ 2.3) „დაუთმე გზა“; 18) ი. გოგებაშვილის ქუჩაზე, ცოტნე დადიანისა და ი. გოგებაშვილის ქუჩების გადაკვეთაზე - საგზაო ნიშანი (№2.3) „დაუთმე გზა; 19) შ. რუსთაველის ქუჩაზე, ცოტნე დადიანისა და შ. რუსთაველის ქუჩების გადაკვეთაზე - საგზაო ნიშანი (№ 2.3) „დაუთმე გზა“; 20) სტალინის ქუჩის მე-2 შესახვევში, ცოტნე დადიანისა და სტალინის ქუჩის მე-2 შესახვევის გადაკვეთაზე - საგზაო ნიშანი (№ 2.3) „დაუთმე გზა“; 21) სპორტის ქუჩაზე, ცოტნე დადიანისა და სპორტის ქუჩების გადაკვეთაზე - საგზაო ნიშანი (№ 2.3) „დაუთმე გზა“; 22) ცონტე დადიანის ქუჩაზე, ხობის რაიონული პოლიციის წინ - საგზაო ნიშანი -(№ 3.27). „გაჩერება აკრძალულია“; 23) 9 აპრილის ქუჩაზე, 9 აპრილის და სტალინის ქუჩების გადაკვეთაზე - საგზაო ნიშანი (№ 2.3) „დაუთმე გზა“; 24) ვაჟა–ფშაველას ქუჩაზე, ვაჟა ფშაველასა და ბერიას ქუჩების გადაკვეთაზე - საგზაო ნიშანი (№ 2.3) „დაუთმე გზა“; 25) თავისუფლების ქუჩაზე, თავისუფლებისა და აღმაშენებელის ქუჩების გადაკვეთაზე - საგზაო ნიშანი (№ 2.3) „დაუთმე გზა“; 26) სულხან საბას ქუჩაზე, სულხან საბასა და აღმაშენებელის ქუჩების გადაკვეთაზე - საგზაო ნიშანი (№ 2.3) „დაუთმე გზა“; 27) 9 აპრილის ქუჩაზე, 9 აპრილისა და აღმაშენებელის ქუჩების გადაკვეთაზე - საგზაო ნიშანი

(№ 2.3) „დაუთმე გზა“; 28) თამარ მეფის სანაპიროზე, ცოტნე დადიანისა და თამარ მეფის სანაპიროს გადაკვეთაზე - საგზაო ნიშანი (№ 2.3) „დაუთმე გზა“.

ქ. ხობში, ბერიასა და 9 აპრილის ქუჩებზე ცალმხრივი მოძრაობის მიმართულების შეცვლის გამო დადგენილების პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი საგზაო ნიშნების დემონტაჟი, მათი გადატანისა და შემდგომი გამოყენების მიზნით: 1) ბერიას ქუჩაზე, ბერიასა და ცოტნე დადიანის ქუჩების კვეთაზე არსებული საგზაო ნიშანი „შესვლა აკრძალულია“ (№ 3.1) 2) ცოტნე დადიანის ქუჩაზე, ცოტნე დადიანისა და ბერიას ქუჩების კვეთაზე არსებული საგზაო ნიშანი „მარჯვნივ მოხვევა აკრძალულია“ (№3.18.1) 3) ცოტნე დადიანის ქუჩაზე, ცოტნე დადიანისა და ბერიას ქუჩების კვეთაზე არსებული საგზაო ნიშანი „მარცხნივ მოხვევა აკრძალულია“ (№3.18.2) 4) 9 აპრილის ქუჩაზე, 9 აპრილისა და სტალინის ქუჩების კვეთაზე არსებული საგზაო ნიშანი „შესვლა აკრძალულია“ (№3.1) 5) 9 აპრილის ქუჩაზე, 9 აპრილისა და სტალინის ქუჩების კვეთაზე არსებული საგზაო ნიშანი „დაუთმე გზა“ (№2.4-2ცალი) 6) 9 აპრილის ქუჩაზე არსებული საგზაო ნიშანი „ცალმხრივმოძრაობიანი გზა“ (№5.5) 7) 9 აპრილის ქუჩაზე არსებული საგზაო ნიშანი „ცალმხრივმოძრაობიანი გზის დასასრული“ (№5.6) 8) სტალინის ქუჩაზე, სტალინისა და 9 აპრილის ქუჩების გადაკვეთაზე არსებული საგზაო ნიშანი „მარჯვნივ მოხვევა აკრძალულია“ (№3.18.1) 9) სტალინის ქუჩაზე, სტალინისა და 9 აპრილის ქუჩების გადაკვეთაზე არსებული საგზაო ნიშანი „მარცხნივ მოხვევა აკრძალულია“ (№3.18.2) 10) ბერიას ქუჩაზე არსებული საგზაო ნიშანი „დგომა აკრძალულია“ (№3.28) 11) ბერიას ქუჩაზე არსებული საგზაო ნიშანი „ცალმხრივმოძრაობიან გზაზე გასვლა“ (№5.7.1) 12) ბერიას ქუჩაზე არსებული საგზაო ნიშანი „ცალმხრივმოძრაობიანი გზა“ (№5.5). გამომსვლელის განცხადებით, გამგეობის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 25, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: კ. მიქაბერიძე)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N8 ოქმს თან ერთვის)

7. „ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს (ტ. ალექსანდრია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ტ. ალექსანდრია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი დამტკიცდა 2015 წლის 25 დეკემბერს N30 დადგენილებით და ბიუჯეტის პირვანდელი შემოსავლები დაგეგმილი იყო 6644,2 ათასი ლარით. განხორციელებული ცვლილებების შედეგად კი დაზუსტებულმა ბიუჯეტმა საშემოსავლო ნაწილში შეადგინა 13861,7 ათასი ლარი. ფაქტიურად ბიუჯეტში მობილიზებული იქნა 15027,5 ათასი ლარი და იგი შესრულებულია 108,4 %-ით. გამომსვლელის განცხადებით, გამგეობის მიერ წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 22, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, ე. წურწუმია, დ. გულუა, კ. ლატარია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N14 ოქმს თან ერთვის)

8. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 თებერვლის N8 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური
განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 თებერვლის N8 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (გ. სიჭინავა) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

გ. სიჭინავა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის განმარტებით ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 თებერვლის N8 განკარგულებაში „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“, გაპარულ იქნა შეცდომა, კერძოდ: მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება სარგებლობის უფლებით გადაეცა შპს „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა პოლიკლინიკას“, თუმცა ფართი უნდა გადასცემოდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს შემდგომში, მის მიერ 100% წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „აფხაზეთიდან იგპ ხობის პოლიკლინიკაზე“ გადასაცემად. წარმოდგენილი ცვლილების პროექტით ხორციელდება ზემო აღნიშნული შეცდომის გასწორება. გამომსვლელის განცხადებით, გამგეობის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, ე. წურწუმია, დ. გულუა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N15 ოქმს თან ერთვის)

9. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (გ. სიჭინავა) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

გ. სიჭინავა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრისა და ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის რეორგანიზაციის შედეგად დაფუძნდა ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი“. კულტურისა და განათლების ცენტრებს სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის წესით გადაცემული ჰქონდათ მუნიციპალიტეტის ქონება, მათი რეორგანიზაციის შემდგომ მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ამ ხელშეკრულებების მოშლა და ახალი ხელშეკრულებების თანახმად მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრისთვის, არსებობის ვადით, მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო ფართის სარგებლობაში გადაცემა, საკრებულოს თანხმობის საფუძველზე. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ მომზადებულ იქნა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების

სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“. გამომსვლელის განცხადებით, გამგეობის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, ე. წურწუმია, დ. გულუა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N16 ოქმს თან ერთვის)

10. „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს (ტ. ალექსანდრია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ტ. ალექსანდრია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ გამგეობის განმარტებით ბაზარზე არსებული ფასებისა და საბიუჯეტო რესურსების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის განსაზღვრული ლიმიტის შემცირება 100 ლიტრით, რისთვისაც მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი „საწვავისა

და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. გამომსვლელის განცხადებით, გამგეობის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 22, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, ე. წურწუმია, დ. გულუა, გ. ხურცილავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N17 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების დასრულების შემდგომ, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ (მამუკა ქარდავა) ისაუბრა ქალაქში მოხეტიალე მაწანწალა ძაღლებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ქალაქიდან ძაღლების გაყვანიდან ერთ კვირაში ისევ სავსეა ქალაქი ძაღლებით. მისი თქმით ქალაქში არსებობს მითქმა-მოთქმა, რომ ის ორგანიზაცია ვისთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება გამგეობის მხრიდან, მაწანწალა ძაღლები გაჰყავს ხობიდან, მაგრამ გადაჰყავს სხვა მუნიციპალიეტში და იქ ხდება მათი ქუჩებში გაშვება და პირიქით, სხვა ქალაქებიდან ხობში შემოჰყავს. მისი თქმით ეს საკითხი შესასწავლია და შესაძლებელია სიმართლესაც არ იყოს მოკლებული, რადგანაც გაყვანის მიუხედავად ძაღლებით მუდმივად სავსეა ქალაქი.

ვ. გაბედავა - გამგებლის მოადგილემ განმარტა, რომ მუნიციპალიტეტს, არანაირი კონტროლის მექანიზმი არ გააჩნია.

გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა აღნიშნა, რომ მაწანწალა ძაღლების პრობლემა მეზობელ მუნიციპალიტეტებსაც აწუხებთ და აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით, საკითხს, აუცილებლად სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორის წინაშე დასვამდა.

ლ. შამათავა - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი - ხელშეკრულების მხარეს, ანუ გამგეობას თავისუფლად შეუძლია გადაამოწმოს ხელშეკრულების პირობებით ხორცილდება თუ არა მაწანწალა ძაღლების ქალაქიდან გაყვანა და დაინტერესდეს იმითიც, რომ ხელშეკრულების მეორე მხარეს გააჩნია თუ არა შესაბამისი თავშესაფარი

ძაღლებისთვის, თუ მართლა სხვადასხვა ქალაქებში ხდება ამ ძაღლების გადაყვანა და გაშვება.

დასასრულს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „თავისუფლების“ თავმჯდომარემ როსტევან გვარამიამ გააკეთა შემდეგი განცხადება:

რ. გვარამია - გამომსვლელმა ისაუბრა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში უფასოდ მიწის დარეგისტრირებასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ აქვს ინფორმაცია, ზოგიერთი პირი, რომელიც ახორციელებს საკადასტრო- აზომვითი ნახაზების მომზადებას მოსახლეობისგან იღებს გარკვეულ თანხას, არადა საკადასტრო ნახაზების შესრულებისთვის საჭირო თანხას სახელმწიფო იხდის. გამომსვლელმა სთხოვა მუნიციპალიტეტის გამგებელს და საკრებულოს თავმჯდომარეს, რომ ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლებმა და საკრებულოს მაჟორიტარმა წევრებმა უზრუნველყონ მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდება მათ საკუთრებაში არსებული მიწების უფასო რეგისტრაციასთან დაკავშირებით, რადგან ხშირ შემთხვევაში მოსახლეობას ამაზე ინფორმაცია არ აქვს.

გ. ქაჯაია - გამგებელმა განაცხადა, რომ მართლა თუ ეს ასეა და საკადასტრო ნახაზის შესრულებისთვის თანხას იღებენ მოსახლეობისგან, შეგიძლიათ კონკრეტული ინფორმაცია მომაწოდოთ თუ ვისგან აიღეს ფული და გაძლევთ პირობას, კანონის შესაბამისად უმკაცრესად იქნება დასჯილი შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების მიერ.

ე. ჯობავა - სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ თუ მართლა მიწის რეგისტრაციისთვის საჭირო საკადასტრო ნახაზის შესრულებისთვის ამზომველები, მოსახლეობისგან არასწორად ფულს იღებენ, აღნიშნული ფაქტი გამოსაძიებელია და აუცილებელია სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან მოხდეს სწრაფი რეაგირება, რათა კანონის შესაბამისად დაისაჯონ კანონდამრღვევი პირები. ასევე აუცილებელია გამგეობის შესაბამისმა სამსახურებმა სოფლის მოსახლეობას მიაწოდონ დეტალური ინფორმაცია მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერი ჯობავა

მესამე მოწვევის საკრებულოს 2017 წლის 28 მარტის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს

წევრთა სია

1. ედიშერი ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა სიჭინავა
4. ტარიელ ალექსანდრია
5. დოდო გაბუნია
6. ლაშა ცატავა
7. ნუგზარ შუშანია
8. ლევან ქავთარაძე
9. თემურ გულუა
10. როსტევან გვარამია
11. მალხაზ ლაგვილავა
12. ედიშერ წურწუმია
13. თენგიზ აბაკელია
14. დიანა გულუა
15. ლეონიდე ლოლუა
16. მერაბ ფილიპია
17. ბეჟან ქირია
18. მელორ გელანტია
19. ქეთევან ოდიშარია
20. მზია ლემონჯარია
21. გიორგი ხურცილავა
22. ფრიდონ შონია
23. კახა ლატარია
24. მალხაზ ყურუა
25. გენადი ქაძანაია
26. კახა მიქაბერიძე